ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.12.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 020/15

შეკითხვა:

შესაძლებელია თუ არა ადვოკატმა წარმოადგინოს ერთ საქმეზე ბრალდებულისა და მოწმის ინტერესები ერთდროულად? ადვოკატი უკვე იცავს ბრალდებულის ინტერესებს, ხოლო მოწმე სთხოვს მას სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებას.

ანალიზი:
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“

საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთი და იგივე სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა, თუ აღნიშნული კლიენტის ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №015/10 მიუთითა: „კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს.“

ადვოკატმა, გარკვეულ შემთხვევებში, კონკრეტულად, მისი წარმოებული საქმიდან გამომდინარე, თავად უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა მის ორ წარმოდგენილ პირს შორის ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე და, მისი არსებობის შემთხვევაში, მიიღოს სათანადო ზომები. ასევე, წინასწარ გააფრთხილოს მისი კლიენტები შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში მისაღები ზომების შესახებ. ადვოკატმა უნდა განსაზღვროს როდის არის შესაძლებელი რომ

წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე. ეს არის ადვოკატის პროფესიული რისკი. იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი ხედავს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საფრთხე, ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მას შეწყვიტოს პროფესიული ურთიერთობა ორივე კლიენტთან. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ ადვოკატის მიმართ გამოიხატა პრეტენზია, ამ კუთხით ადვოკატი მოხვდება ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წარმოებაში.

მოცემულ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მიიჩნევს, რომ შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე, მან უნდა გააგრძელოს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირის დაცვა, ვინაიდან უკვე ახორციელებს მის ინტერესებს და უარი უთხრას მოწმეს მისი წარმომადგენლობის განხორციელებაზე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით, ჩვენების მიცემა სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან დაკავშირებით ბრალდებულის უფლებაა, ხოლო ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან ცრუ ჩვენების მიცემა არ იწვევს მისი ბრალეულობის დამტკიცებას. ეთიკის კომისია უთითებს, რომ ბრალდებულის მიერ შემდგომში ჩვენების შეცვლისა და გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მისი პოზიციის საწინააღმდეგო მტკიცებულებად შეიძლება დარჩეს მოწმის ჩვენება. შესაბამისად, მოწმისა და ბრალდებულის, ადვოკატთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, პოტენციურად, ერთდროულად მყოფი პირების ჩვენებები, შესაძლოა დაუპირისპირდეს ერთმანეთს.

დასკვნა:

გარკვეულ შემთხვევებში, ადვოკატმა თავად უნდა განსაზღვროს როდის არის შესაძლებელი რომ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე. ეს არის ადვოკატის პროფესიული რისკი. იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი ხედავს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საფრთხე, ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მას მიიღოს სათანადო ზომები. იმ დროს, როდესაც ადვოკატი მიიჩნევს, რომ შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე მის ამჟამინდელ და პოტენციურ კლიენტებს შორის, მან უნდა გააგრძელოს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირის დაცვა, ვინაიდან უკვე ახორციელებს მის ინტერესებს და უარი უთხრას მოწმეს მისი წარმომადგენლობის განხორციელებაზე.